# საწვავის
# ნასყიდობის ხელშეკრულება G-24

ქ. თბილისი 02 მაისი 2023 წელი

ერთი მხრივ, შპს ”საქართველოს ფოსტა” (შემდგომში ”შემსყიდველი”), წარმომადგენელი მისი ფინანსური დპარტამენტის უფროსი ლაშა ჯაფარიძის სახით, სახით და მეორე მხრივ, შპს “ეკოპეტროლი“ (შემდგომში ”მიმწოდებელი”), წარმოდგენილი მისი დირექტორის, მალხაზ საღირაშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3[1] პუნქტის ”ა” ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 14 დეკემბრის N14 ბრძანების და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2023 წლის ნებართვის N-1129 საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, სახელმწიფო სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპის გათვალისწინებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 ”საწვავის ნასყიდობის ხელშეკრულება” (შემდგომში - “ხელშეკრულება”) შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია 1 (ერთი) ელექტრონულად ხელმოწერილ ეგზემპლარად და ინახება ხელშეკრულების მხარეებთან. თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე.

1.2 ”ხელშეკრულების ღირებულება” - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3 ”დღე” , ”კვირა”, ”თვე” - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 ”შემსყიდველი” - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 ”მიმწოდებელი” - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 ”საქონელი” - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 200 (ორასი) ლიტრი ბენზინი პრემიუმი (CPV09132000) (შემდგომში „საქონელი“) შესყიდვა.

## 3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 466 **(ოთხასსამოცდაექვსი)** ლარს.

3.2. 1(ერთი) ლიტრის ფასია - **2.33** ლარი.

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, მათ შორის დ.ღ.გ.-ს აგრეთვე საწვავის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა თანმდევ ხარჯს, მათ შორის საწვავის შენახვის ხარჯებს ავტოგასამართი სადგურებიდან მის გაცემამდე.

## 4 ანგარიშწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისთანავე, ნაღდი ან უნაღდო ანგარიშწორების ფორმით, უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე.

## 5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო დოკუმენტაციის გაფორმების შემდგომ.

## 6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1 საწვავის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საბარათე სისტემით, მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგურების ქსელის მეშვეობით.

6.2 მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველს დაუმზადოს და გადასცეს მოთხოვნილი რაოდენობის საწვავის ბარათები, რომელზეც დარიცხული იქნება შესყიდული რაოდენობისა და ტიპის საწვავი. საწვავის ბარათების გადაცემის მომენტიდან მისი შესაძლო დაზიანების განადგურების რისკი ეკისრება შემსყიდველს. დაკარგული ან დაზიანებული საწვავის ბარათების აღდგენა ხორციელდება მხარეთა დამატებითი შეთანხმების საფუძველზე.

6.3 ავტოგასამართ სადგურზე საწვავის ბარათის წარმოდგენისთანავე, რომელზეც დარიცხულია შესყიდული სახეობის და რაოდენობის საწვავი, შემსყიდველი ან მისი წარმომადგენელი ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი ტევადობების ან/და ჭურჭლის წარმოდგენა.

6.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია დროებით (არაუმეტეს 1,5 საათისა) შეაჩეროს საწვავის გაცემა ამა თუ იმ ავტოგასამართ სადგურზე საწვავის მიღების დროს და მიღების შემდეგ, რათა უზრუნველყოფილ იქნას პერსონალის და მომხმარებლების უსაფრთხოება და საწვავის სათანადო ხარისხი.

6.5 საწვავის ტალონების/ბარათების მიწოდება განხორციელდება 2023 წლის 03 მაისის ჩათვლით.

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

7.1.1. შეამოწმოს მიწოდებული საწვავის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.1.2. უარი თქვას უხარისხო საწვავის მიღებაზე.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1 წერილობით აცნობოს მიმწოდებელს საწვავის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

7.2.2. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.

7..3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

7.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საწვავის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1. გააფრთხილოს შემსყიდველი საწვავის მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ;

7.4.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს (კონტროლი) ინსპექტირება, რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობი დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8.2 ხელშეკრულების 8.1 პუნქტით გათვალისწინებულ (კონტროლს) ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის შესაბამისი უფლებამოსილი წარმომადგენელი.

## 9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საწვავის ღირებულების 0,1%-ის ოდენობით;

9.2 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, დროულად გადაუხდელი თანხის 0.1% ოდენობით. ასეთი უფლებით მიმწოდებელმა შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას.

9.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, მხარე იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება, პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით.

11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2023 წლის 14 ივნისის ჩათვლით, რა პერიოდშიც უნდა განხორციელდეს "საქონლის" შესყიდვა.

12.2 ხელშეკრულება შედგენილია 1(ერთი) ელექტრონულად ხელმოწერილ ეგზემპლარად და ინახება ხელშეკრულების მხარეებთან.

**შემსყიდველი**
შპს "საქართველოს ფოსტა"
ს/კ 203836233
მის: ქ. თბილისი, სადგურის მოედანი N2
ტ: 577 505 310

Georgian Post LLC
Digitally signed by Georgian Post LLC
Date: 2023.05.02 10:11:44 +04'00'

ფინანსური დპარტამენტის უფროსი
ლაშა ჯაფარიძე

**მიმწოდებელი**
შპს „ეკოპეტროლი"
მის: ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. №12
ს/კ: 405195845
ბანკი: TBCBGE22 / სს თიბისი ბანკი
ანგ/ნ: GE31TB7520236080100007

malkhaz saghirashvili
Digitally signed by malkhaz saghirashvili
Date: 2023.05.02 12:18:25 +04'00'

დირექტორი
მალხაზ საღირაშვილი

## ხელწერილი

## ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 02 მაისი 2023 წ.

საქართველოს კანონის ,,სახელმწიფოს შესყიდვების შესახებ" მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, შპს „ეკოპეტროლი"-სგან შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერსთა კონფლიქტს.

ფინანსური დპარტამენტის უფროსი - ლაშა ჯაფარიძე

შესყიდვების სამსახურის უფროსი - ვაჟა პოპიაშვილი

ტრანსპორტის მიმართულების ხელმძღვანელი - ნიკა ქავთარაძე